



ამდის, ნათევსა!

ჩემი საქართველო



№16, მარტი, 2014
 საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ღიადრობა სურთ და პროფესიონალიზმს ეხსრავებიან!



ღმერთმა დალოცოს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები, ტექნიკური პერსონალი, სტუდენტი-ახალგაზრდობა და მათი მშობლები.

ჩილია
სერგეი სერგეი
კიილ-სერგეი

გაბი ჩათიბუ: ოჯახური იდილიისათვის აუცილებელია სიბრძნის სკოლის გავლა

პროფესორის ცრიზის



იდეალად მიმაჩნია ისეთი მდგომარეობა, რომ იმ მომენტში როცა ლაპარაკი იწყება სიყვარულზე, ქორწინებაზე, ბავშვებზე, ადამიანი - ჩვენი პატარა ადამიანიც, ბავშვიცა და მოზარდიც - იმასვე უნდა გრძობდეს, რასაც გრძობს და განიცდის ემოციურად აღზრდილი ადამიანი ხელოვნების ათასწლოვანი ძეგლის დანახვისას. ჩვენ, უფროსმა თაობამ, უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ ველაპარაკოთ ბავშვებს და ახალგაზრდებს ღიადისა და მშვენიერის შესახებ - სიყვარულზე, ქორწინებაზე, ბავშვების დაბადებაზე, სამარის კარამდე ადამიანის ერთგულებაზე... სიკვდილსა და გულის ხსოვნაზე, სანამ ჩვენ ამის შესახებ ლაპარაკსა და ფიქრს არ ვისწავლით, მანამ ვერ ვასწავლით ჩვენს სტუდენტებს გულისთქმათა და გრძობათა სინამდისა და სიღამაზეს. ამ სფეროში უვიციობას კი სტუდენტთა ცრემლები და მწუხარება მოსდევს.

დაქორწინებისას ახალგაზრდა ვაჟსა და გოგონას წარმოადგენა არა აქვთ ურთიერთობათა იმ რთულ და სათუთ კულტურაზე, რომელსაც დაქორწინებულთა ცხოვრება მოითხოვს.

მათთვის არავის უთქვამს და მათ არ იცინა, რომ ქორწინებითი ცხოვრება, ყოველდღე ერთად, ერთ ჭერქვეშ ცხოვრება არაა პაემანი ბედნიერ საათებში, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე, - ეს არის ისეთი დიდი შრომა, სულიერი შრომის დაძაბულობა, რომლის შედარება არაფერთან არ შეიძლება. ამისათვის საჭიროა უდიდესი სულიერი კულტურა, სულიერი მომზადება, სიბრძნის სკოლის გავლა...

ასეთი სკოლა კი, არც კოლეჯი და არც ინსტიტუტი რაგინდ უცნაურობადაც მოგეჩვენოთ, არა გვაქვს, ამიტომაც არ არსებობს მშობელთა პედაგოგიკაც. ამიტომ ბავშვების დაბადებისათვის ზოგიერთი ახალგაზრდა

ზნეობრივად ისეა მომზადებული, როგორც წერა-კითხვის უცოდინარი კაცი ფილოსოფიის წვდომისა და გაგებისათვის... ცხოვრება მოითხოვს, რომ ბიჭებისა და გოგონებისათვის კოლეჯებსა და ინსტიტუტებში შემოღებული იქნეს კურსი საოჯახო ურთიერთდამოკიდებულების კულტურის, ქორწინების, ბავშვთა დაბადებისა

და აღზრდის შესახებ... ეს კურსი უნდა ასწავლოს სულიერად მდიდარმა, მორალურად მომზადებულმა ადამიანმა... სვლინდელი მამებისა და დედების წინაშე დამაჯერებელი ფაქტებით უნდა აცხსნათ და განვმარტოთ იმ ჭეშმარიტების არსი, რომ დაქორწინებულთა ცხოვრება ნიშნავს ყოველწამს შეხებას ადამიანთან აზრით, გულით, გრძობებით, ჯერ ქმართან, ცოლთან, შემდეგ - ბავშვებთან, ძალიან რთული და სათუთი საქმეა გონებითა და გულით ჩასწვდევ ერთი მეხედეთი უბრალო ცხოვრებისეულ საკითხებს. ეს საკითხები მოითხოვს მშობლებისა და პედაგოგის დიდ სიბრძნეს, ხოლო თუ ჩვენ ნამდვილად გადავუშლით ვაჟებსა და გოგონებს ცხოვრების სიბრძნესა და სირთულეს, ეს მათ დაეხმარებათ გახდნენ მონიფულნი, წინდახედულნი, აღარ იქნება ის ქარაფშუტობა, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ბევრი ახალგაზრდის შეხედულებებსა და საქციელში. დემოკრატია ოჯახურ ურთიერთობებზე უარის თქმას როდი ნიშნავს!

ადამიანის არსება ყველაზე უფრო ნათლად აიხსნება მოვალეობაში. იმაში, რომ ადამიანი კისრულობს პასუხისმგებლობას სხვა ადამიანისათვის. მოვალეობა და კიდევ მოვალეობა - აი ის ატმოსფერო, რომელშიც უნდა ვზრდოდეთ ადამიანის მიერ ნაშობ არსებას, რათა მას ღირსეულად ერქვას ადამიანის დიდი სახელი, ამიტომაც ძნელია სიტყვებით გადმოცემა დედობრივი, მამობრივი გრძობები. მათში სრულად ჩანვლობა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც თვითონ გახდა მამა ან დედა. მასხოვს ერთი ასეთი ამბავიც, ახალგაზრდა მეუღლეებს - მასწავლებლებს - დიდხანს არ გაუჩნდათ შვილები. ათწლიანდს ელოდნენ ისინი - ელოდნენ მშობლიურ ბედნიერებას და უკვე ნაკლებად სჯეროდათ, რომ მათ ოჯახშიც შეიხედავდა იგი... მაგრამ აი, ახალგაზრ-

და ქალი დაორსულდა, სიხარულის ცრემლებით ჰყვებოდა იგი ამის შესახებ რექტორატში: ჯერ ქალებს უამბობდა, მერე კი ქალებმა მამაკაცებსაც გაგავებინეს, ყველას გვიხაროდა და ცოლ-ქმარს ვულოცავდით. ხოლო როცა ახალგაზრდა მამამ თავისი მეუღლე ვაჟიანად მოიყვანა სახლში, იგი რომელიც მეტად ბედნიერი და აღელვებული იყო, ხელში აყვანილი შვილით კოლეჯში მოვიდა. უნდოდა რაღაც ეთქვა და აცრემლდა. მერე კი, როცა მღელვარება დასძლია, თქვა:

- იმ წუთიდან, როცა ბავშვის ხმა გავიგონე, სრულიად სხვა ადამიანად ვიგრძენი თავი. ჩემს გულს პანანა ნამცეცი გამოეყო და ისეთი გრძობა დამეფულა, რომ ეს ჩემი მეორე გულია, ჩემი მეორე არსებაა... შემდეგ მან მოგვითხრო, რომ ლექციებზე მან ახლა სრულიად სხვანაირად დაინახა ბავშვები: „ბავშვის ყოველი ტკივილი ჩემს საკუთარ ტკივილად იქცა“, - ამბობდა იგი.

ჩავუფიქრდეთ ამ სიტყვებს მშობლებო! ბავშვს რომ ვზადებთ, ამით ჩვენი გულის ნაწილს გამოვყოფთ, ადამიანისათვის შემოქმედისათვის არაფერია იმაზე უფრო კეთილშობილი, უმაღლესი მისია, ვიდრე მამობა და დედობა, იმ დროიდან, როცა შენმა სისხლმა სისხლთაგანმა და ხორცმა ხორცთაგანმა სუნთქვა დაიწყო და სამყაროს გახელილი თვალები მიაპყრო, შენ უდიდესი პასუხისმგებლობა იკისრე: ყოველ წუთს, შენს შვილს რომ უყურებ, საკუთარ თავს ხედავ; შენს შვილს რომ ზრდი, საკუთარ თავსაც ზრდი, განამტკიცებ შენს ადამიანურ ღირსებას...

არსებობს ათობით, ასობით პროფესია, სპეციალობა, სამუშაო: ერთს რკინიგზა გაკაყავს, მეორე საცხოვრებელ სახლებს აშენებს, მესამეს ხორბალი მოჰყავს, მეოთხე ადამიანებს კურნავს, მეხუთე ტანსაცმელს კრავს, ზოგიც თავს ვაჭრობით ირჩენს, მაგრამ არის ყველაზე უნივერსალური, ყველაზე რთული და უკეთილშობილესი სამუშაო, რომელიც ყველასთვის ერთიანია და იმავე დროს ყოველ ოჯახში თავისებური და განუმეორებელია, - ეს არის ადამიანის აღზრდა და ჩამოყალიბება...

ამ სამუშაოს განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ ადამიანი მასში პოულობს ისეთ ბედნიერებას, რომლის შედარება არაფერთან არ შეიძლება. ადამიანთა მოდგმას რომ აგრძელებ-

ბენ. მშობლები თავიანთ შვილში იმეორებენ თავიანთ თავს და იმაზე, თუ რამდენად შეგნებულა ეს გარემოება, დამოკიდებულია მორალური პასუხისმგებლობა ადამიანისათვის, მისი მომავლისათვის ყოველი წამი იმ სამუშაოსი, რომელსაც აღზრდა ეწოდება, ეს არის მომავლის შექმნა და მომავლისთვის მზერა.

აღზრდაში ორგანულად ერწყმის ერთმანეთს საზოგადოებრივი და ინტიმური... სწორედ ამ შერწყამა ადამიანის ბედნიერების ჰარმონია.

თუ თქვენ იმაზე ოცნებობთ, რომ ამქვეყნად თქვენს შემდეგ კვალი დატოვოთ, სავალდებულო არ არის, იყოთ გამოჩენილი მწერალი ან მეცნიერი, კოსმოსური ხომალდის შემოქმედი ან პერიოდული სისტემის ახალი ელემენტის აღმოჩენი, თქვენ შეგიძლიათ საზოგადოებაში სახელი მოიხვეჭოთ კარგი შვილების აღზრდით, კარგი მოქალაქეების, კარგი მშრომლების, კარგი ვაჭიშვილის, კარგი ქალიშვილის, მომავალი კარგი მშობლების აღზრდით.

ადამიანის შექმნა, სულიერი ძალის უმაღლეს დაძაბულობას მოითხოვს და მისი შედეგია. ეს არის ცხოვრებისეული სიბრძნე, ოსტატობაც, ხელოვნებაც, შვილები არა მარტო და არა იმდენად ბედნიერების წყაროა, შვილები - ეს არის ბედნიერება, რომელიც თქვენი შრომითაა შექმნილი. გახსოვდეს ეს - შენც, ჭაბუკო, რომელიც გულის ფანცქალით მოელი შეყვარებულთან პაემანის წუთს, შენც, ახალგაზრდა მამავ, პირმო აკვანში რომ გიმღერის თავის მარადიულ სიმღერას, შენც, გაჭალარავებულო, ოჯახური ცხოვრების სიხარულითა და მღელვარებით გამობრძმებული კაცი, შვილების მამავ და შვილიშვილების პაპავ! მამობრივი და დედობრივი ბედნიერება ციური მანანა არ არის, იგი სადღესასწაულო სტუმარივით კარს არ მოგადგებათ, როგორც კი თქვენ, გოგონავ და ჭაბუკო, ცოლ-ქმარი გახდებით. ეს ბედნიერება ძნელი მისაღწევია, სიმართ არის მოპოვებული იგი მხოლოდ იმათი ხვედრია, ვისაც არ ეშინია ერთფეროვანი, მრავალწლოვანი, თავდავიწყებად მისული შრომისა... ამ შრომის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ იგი, ეს შრომა წარმოადგენს გონებისა და გრძობების, სიბრძნისა და სიყვარულის შერწყმას. იმის უნარს, რომ ახლანდელი წუთით რომ ტკბები, მღელვარებით შეხედო მომავალსაც, იქ, სადაც ეს ბრძნული მამობრივი და დედობრივი უნარი დაკარგულია, ბედნიერება მოგვენებად იქცევა



რას წერენ ზეგნები

Amusing Planet ხესთავის ბაგა-ბაღს სტატიას უძღვნის



„საქართველოში, ქალაქ რუსთავში მდებარეობს ბაგა-ბაღი, რომელიც თვითმფრინავშია გახსნილი თვითმფრინავ Yakovlev Yak-42-ში ბაგაბაღისთვის განკუთვნილი ყველა საჭირო ინვენტარია განთავსებული. აკადემიური ქალაქის რექტორმა პროფესორმა გარი ჩაფიძემ თვითმფრინავი შეიძინა და ბორტი ბავშვის



გეგმა Amusing Planet, რომელიც მსოფლიოში ყველაზე უცნაურ, ორიგინალურ და საინტერესო მოვლენებზე წერს, ამჯერად მთავარ გვერდს საქართველოს უთმობს. Amusing Planet-ის ჟურნალისტებმა რუსთავში მდებარე თვითმფრინავში გახსნილ ბაგა-ბაღზე სტატია დაწერეს.

განვითარებისათვის საჭირო ნივთებითა და სათამაშოებით აღჭურვა, აღსაზრდელებს პილოტის კაბინაში თამაშშიც შეუძლიათ – წერს Amusing Planet რუსთავში მდებარე ბაგა-ბაღზე ბრიტანული და ამერიკული ვებ. საიტები ხშირადწერენ საინტერესო სტატიებს.

რუსთავის აკადემიური ჩაროჯის საშუალო სკოლის

ჩვენი მეაქოსნები

2013 წელი წარმატებული აღმოჩნდა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქალაქ რუსთავის საშუალო სკოლისათვის.

ახლად დაარსებულმა სკოლამ სულ სამ გამოშვებას დაულოცა გზა მომავალი ცხოვრებისაკენ. 2012-2013 წლის კურსდამთავრებულებიდან სამმა მოსწავლემ

მოიპოვა ღირსეული ჯილდო, ოქროსა და ვერცხლის მედალები, რომლებიც უმაღლესი ქულებით ჩაირიცხნენ სხვადასხვა სასწავლებლებში და მოიპოვეს გრანტები, ხოლო დედებმა კი კარგი შვილის აღზრდისათვის მიიღეს სიგელები. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი: „ლამაზად შვილის აღზრდელი, დედა მიცვნი

ლმერთადა“. ჩვენი ქალაქის თვითმმართველობამ, ქალაქის მერმა, დავით ჯი-

ბელში, მათ შორის არიან 100 და 50%-იანი გრანტის მფლობელებიც.

საყურადღებოა, რომ სულ ძალიან მალე, ჩვენს სკოლაში, წყვეტილობა ამოივსება და მარტო მათე, მეტრთერთმეტე, მეტორმეტე კლასის მოსწავლეები კი არა, აკადემიურ ქალაქს პირველიდან – მეტორმეტე კლასის ჩათვლით



ქიამ თავად გადასცა ოქროს მედალი ნანა მაჭარაშვილს, ხოლო ვერცხლის მედალი ანა გაგელაშვილსა და საბა შავიძეს. სკოლის წარმატებული მუშაობისათვის დაჯილდოვდა სკოლის დირექტორი, პროფესორი გარი ჩაფიძე. ასევე ჯილდო გადაეცა სკოლის დირექტორის მოადგილეს როზა გულისაბედაშვილს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღესდღეობით 2013 წლის კურსდამთავრებულთაგან (აბარებდა 27 მოსწავლე) 18 მოსწავლე სწავლობს სხვადასხვა პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლე-

მოსწავლეების ყრიამული მოიცავს, ამისათვის უკვე გადიდდა ქმედითი ნაბიჯები და შეთანხმებულია საშუალო სკოლის პროექტები ყველა ინსტანციაში, უფრო მეტიც მშენებლობა დაიწყო!

მაკა სატიანაშვილი
რუსთავის „აკადემიური ქალა-



ჩვენი გაზეთი „ჩემი საქართველო“ საერთაშორისო გაზეთ „საქართველოს მიღმა საქართველოსთან“ ერთად ვრცელდება: — ამერიკის შპარტაპულ შტატებში, ავსტრიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, გერმანიაში, კანადაში, ირაქში, საპარკეთში, უკრაინაში, რუსეთში, საფრანგეთში, იტალიაში, თურქეთში, ირანში, სომხეთში. აზერბაიჯანში, ინდოეთში, ესპანეთში
მისამართი: 0182 ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა 7; ტელ: 227-89-00; 227-89-01; 227-89-02; (0341) 22-25-00; 25-37-00
OUR NEWSPAPER "CHEMI SAKARTVELO" IS SPREAD WITH THE INTERNATIONAL NEWSPAPER "SAQARTVELOS MIGMA SAQARET-VELOSTAN" IN THE UNITED STATES OF AMERIKA. AUSTRIA, BELGIUM, HOLLAND, GERMANU, CANADA, IZRAEL, AZERBAIJAN, ARMENIA, INDIAN, SPAIN.
ADDRESS: 0281, Javakheti street 7; Tbilisi phone: +995 (32) 227-89-00; 227-89-01; 227-89-02; +995 (341) 22-25-00; 25-37-00
Web-site: www.chemisakartvelo.ge; academtv.info

დღევანდელს მოგვარეული ჩვენი პარლამენტის მიერ ჩამოყალიბებული მეცნიერული ირეჟი საზღვარგარეთს მოიხრონ



ადამიანის ცხოვრებაში არის მომენტი, როცა ერთმანეთის ჭიდილობა სურვილი და შესაძლებლობა. ეს განსაკუთრებით მაშინ იგრძნობა, როცა დგება პროფესიის არჩევის დრო. თუ სურვილი არ გაქვს შექმნა რაიმე მატერიალური, ხილვადი, სმენადი, აღტქმადი, მაშინ ირჩევ იმ პროფესიას, რომელიც განსხვავებულია სხვა დანარჩენებისაგან. ესაა პედაგოგია ანუ მუდმივი მცდელობა მოზარდის სულიერი, შინაგანი სამყაროს სრულყოფისათვის და

ზრუნვა ამ პარამონის შესანარჩუნებლად. ლოგიკურია რომ პედაგოგად უნდა დაიბადო. ჩვენი ცხოვრება ძალზე დინამიური და ცვალებადია, ამიტომ ამ ცვალებადობას უნდა შეესაბამებოდეს აღზრდის და სწავლების პრინციპები დღევანდელობას უნდა მოერგოს ამ პროცესების რიტმი და თავისებურება.

პრაქტიკოსმა პედაგოგმა ნინო ცხვედაძემ ხანგრძლივი მუშაობისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე შემოგვთავაზა აღზრდის პროცესის შედარებით უფრო ეფექტური გზა, რომელიც მოიხრონ საქართველოს განათლების სამინისტროში, რაც დასტურდება შემდეგი პასუხით: „მოქალაქეთა მხრიდან ასეთი აქტიურობა ხელს შეუწყობს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების წარმატებით გადაჭრას, თუმცა ამ მიმართულებით ჯერ არ ვმუშაობთ. თუ სამომავლოდ დაგეგმავთ აუცილებლად სიამოვნებით ვითანამშრომლებთ თქვენთან და გავითვალისწინებთ თქვენს რეკომენდაციებს“. მიღებული პასუხის გამო მეც სურვილი გამიჩნდა უფრო ახლოს გავცნობოდი მას.

დამაჯერებელი, სასიამოვნო საუბრით კიდევ უფრო დაინტერესდი ვგრძნობდი მიზნის მიღწევისათვის დაუოკებელ დიდ სურვილს. მან გულწრფელად გამაცნო თავისი სულიერი სამყარო და უპრობლემოდ გამითავისა ის წინააღმდეგობები, რაც ითვისებისას წინააღმდეგობებს, იმედგაცრუებას, ადამიანური ღირებულებების, თანაგრძნობის და სიკეთის კეთების ნაკლებ სურვილებს. ყოველივე ამან განაპირობა – განაგრძო მან –

ჩემი წიგნის „შეჩერდი მე შენ გვჭირდება“ გამოცემა. მადლობა უფალს, რომ ცხოვრებისეული ყველა სიძნელე გამოვცადე ასე რომ არ ყოფილიყო ზემოთ ხსენებულ წიგნს არ დაგწერდი.

ანალოგიური საუბარი მქონდა ბატონ გარისტან, რომელმაც ჭეშმარიტად ძირფესვიანად განიხილა ჩემი საკითხი და თავისი მეცნიერული მსოფლმხედველობა სალექციო საათების გარდა მიჩნია ჩემი პროექტი წარმედგინა უკრაინაში საერთაშორისო კადრების აკადემიაში. პრეზიდენტმა განიხილა და მოიხონა პროექტი და დამაჯილდოვა პედაგოგიური მეცნიერული მუშაობისათვის ოქროს მედალით.

საუბარმა ბევრი რამ გამაცნო ამ ქალბატონის შესახებ, დაგრწმუნდი თუ სურვილი გაქვს მიზანს ადრე თუ გვიან მაინც მიაღწევ. ესაა მისაბაძი მაგალითი შეუპოვრობის, თავდაუზოგავი სწრაფვის, სიკეთისათვის დახარჯული ყოველი წუთისთვის. ისლა დამრჩენია ხანგრძლივი დანაყოფიერი სიცოცხლე გისურვოთ. მოდის 3 დედის და 8 მარტი ქალთა დღე, რას უსურვებდით მკითხველ ქალბატონებს?

– რას? სინანულით ჩაიღიმა მან. არასოდეს არ იყოს ასეთი ლექსი მათი ცხოვრების ნაწილი, რომელიც მუდამ გულს მტკენს და დაინყების საშუალებას არ მძლევს.

„მე ბევრს არაფერს ვნატობდი ერთულ ქმარსა და მეგობარს, მყოლოდა ბევრი შეილები და თბილი კერა მქონოდა. ზამთარშიც მოვირთვებოდი აყვავებული ფიქრებით, სიცოცხლის დასასრულამდე,

შვილების ფრთებით ვიფრენდი. ან კიდევ: „ახლა ჩემს ლოდინს აზრი არა აქვს, იმედის სხივი გულს არ ანათებს, ვარ მარტოსული გულს სევდა ლახვრავს

ხვედრს დედობისას ავცდი სანატრელს.

თქვენ ოჯახიც გაქვთ და ათასობით შვილიც გყავთ, მუდამ მხნეობას ზღვა სიხარულს და უწყვეტ პირად ბედნიერებას გისურვებთ ქალბატონო ნინო. დიდი სიყვარულითა და თანაგრძნობით გილოცავთ გაზაფხულის ღამაზე დღეს, ქალთა დღეს.



საჯარო

მასწავლებლობა საცოხა კი არა, ცთისსასურებაა...

პირველ ოქტომბერს საგარეჯოს სასწავლო ცენტრში დაირეკა ახალი სასწავლო წლის დაწყების მუხუცხე-ლი ზარი. სტუდენტებს აუდიტორიაში შეუძღვა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, თამარ ურდულაშვილი.

– საით მივდივართ? – იყო კითხვა სტუდენტებიდან.

– „მუდამ შინისკენ“: – ნოვალისის სიტყვებით უპასუხა თამარ ურდულაშვილმა.

თამარ ურდულაშვილი: – ჩემს ბავშვობაში, ჩემს შვილზე დაკვირვებისას აღმომიჩენია, რომ ყველაზე მტკივნეული სახლს მოწყვეტა იყო...

ბევრი შეგრძნება აღარ მასხოვს, მაგრამ ერთი ცხადი იყო: თავშესაფარს, სიმყუდროვესა და დაცულობას ვესწრაფვოდი, რადგან სამყარო ძალიან დიდი და თავს იქ უმწეოდ ვგრძნობდი...

მე მინდა ამ ინსტიტუტს სახლი დავარქვა, თუმცა ჰქვია, „წიგნის სახლი“, და გარდა სასწავლო გარემოსი, შემოქმედებითი გარემოც მოვანყო, მართლა მინდა დავამსგავსო ხალხს, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, რომ სტუდენტმა თავი მყუდროდ და უსაფრთხოდ იგრძნოს, დაიჯეროს, რომ იგი უყვართ, მისი ბედი ადევლებთ.

უკვე დიდი ხნის მასწავლებელი ვარ... ხალხის არ გამქრობია...

ჩემი სტუდენტების ასაკიდან მინდა შევხედო სამყაროს. მე მათგან დღესაც უამრავ რამეს ვსწავლობ...

ყოველთვის ვხელმძღვანელობდი ჩილეელი პოეტის, გაბრიელა მისტრალის „მასწავლებლის ათი მცნებით“.

„თუ სიყვარული არ შეგიძლია, ნუ ასწავლი...“

ღამაში რომ ანთო, ცეცხლი უნდა გქონდეს გულში...“

მე შემემლო სიყვარული და ვასწავლიდი... მქონდა ცეცხლი და ვანთებდი ღამურებს... ჩემი ლექციები სხვისგან კი არა, ერთმანეთისგან ყოველთვის განსხვავებულია... რატომ? სულს ვუბერავ ცოცხალ არსებასავით, ვზრუნავდი და ვზრუნავ სულის ამაღლებაზე – რომ გასცე, უნდა გქონდეს...

ჩემი პროფესია. ხელობა კი არა, ღვთისმსახურებაა... ყოველი დღე და ახალი ლექცია საკუთარსულში გახედებს სარკესავით...

ყოველთვის ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი ცხოვრების ბოლომდე სატარებელი ჯვარი – უფალომ მე დამაკისრა ხვალისდელი დღის შექმნა...

ჩემთან რომ იმუშაო, სულ ცოტა, ჩემნაირი უნდა იყო: გულანთებული, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, მუდმივად უნდა ზრუნავდე უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, უნდა იყო სამართლიანი, ღია სიახლეებისადმი, შემოქმედებითი, ტოლერანტი, თვითკრიტიკული, უნდა ასწავლიდე და სწავლობდე. ასეთები არიან ქალბატონები: ცირა ტეტიაშვილი, ნელიბროლაშვილი, ნათელა ჭიბერაშვილი, ანა მეტრეველი, რომლებიც უძღვებიან უცხო ენის, ეთიკის, აუდიტის, მენეჯმენტისა და მარკეტინგის კურსის სწავლებას.

ულრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ გარი ჩაფიძეს, რადგან არჩევანი შეაჩერა ჩემზე და მომცა შანსი ჩემი შესაძლებლობების გამოვლენისა.

თამარ ურდულაშვილი
ქალაქ საგარეჯოს სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი

ოზურგეთი

მესპურსია ჯუმათუმი

დაუჯერებლად მეჩვენებოდა, რომ ქალაქ ოზურგეთში გახსნილი საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი ასეთი წარმატებული, სანიმუშო, გამორჩეული და უმაღლესი დონის სასწავლებელი იქნებოდა.

ოცნება ამიხდა, ისეთ სასწავლებელში მოვხვდი რომელზეც ვოცნებობდი. ემოციებს ვერ ვმაღავდი როცა ღია კარის დღეს პროფესორმა გარი ჩაფიძემ სასწავლებლის წარმატებებზე ისაუბრა.

მე ძალიან ბედნიერი ვარ რომ ამ ინსტიტუტის სასწავლო ცენტრის სტუდენტი ვარ, იმიტომ რომ იგი ყველანაირ დონეს აკმაყოფილებს.

დიდ პატივისცემას გამოვხატავ ჩვენი სასწავლებლის ლექტორების მიმართ, რომლებიც თავს არ ზოგავენ ჩვენი განათლების მიღებისთვის.

ერთი რამ მინდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის დაუფინყარი იყო როცა სტუდენტები წაგვიყვანეს ექსკურსიაზე ჯუმათის მონასტერში, სადაც დავესწარი ლოცვას და ვტკებოდით ბუნების სილამაზით.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ მაკა ბრეგვაძეს და თითოეულ ლექტორს რომ დაუფინყარი დღე გვაჩუქეს და ყოველთვის დაუფინყარი დღეები გვქონოდა.

თიონა ჯინჭარაძე
ოზურგეთის სასწავლო ცენტრის მეორე კურსის სტუდენტი



არაფორმალური პროფესიული განათლების ფლაგმანი საქართველოში

**„EUCEN“-ის საერთაშორისო საგანმანათლებლო
 ევრო აკრედიტაციის მფლობელი საქართველო-უკრაინის
 სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქალაქ რუსთავის
 ეროსი მანჯგალაძის სახელობის თეატრისა და კინოს
 არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრი**

აქსნაღვს ვიღვას IX და XII კლასნაშთაწიწაუღთათვის

- ✓ **გაშრთობ-ანიშატორი**
- ✓ **ღონისძიებათა მომწყოზი**
- ✓ **მსახიოზი**
- ✓ **ქორეოგრაფი**
- ✓ **ბიბლიოთეკარი**
- ✓ **კორესპონდენტი**
- ✓ **ტელე-წაშეყვანი**
- ✓ **ტელე-ოპერატორი**



სწავლვბა სამწლიანი!

სასწავლო წელი ყველა სპეციალობაზე ორსემესტრიანი,
გაღასახადი – სემესტრში 250 ლარი!

კურსდამთავრებულეზი მიიღებენ სასწავლო პროგრამის გავლის
 დამადასტურებელ სამენოვან (ქართულ-უკრაინულ-ინგლისურ)
 ოქროსბეჭდიან სერთიფიკატს!

მისამართი: ქ. რუსთავი, შვეჩენკოს ქუჩა №5 (აკადემიური ქალაქი) კორპუსი 9;
 ტელ: (9341) 22-25-00; 22-45-00; 22-74-00; 22-80-80; 22-77-77; 25-37-00;
 25-39-00; 27-94-00; 27-96-00; 28-14-00.

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრები საქართველოს ყველა რეგიონში განსაკუთრებული წარმატებებით ფუნქციონირებს, ხოლო წარმატების საიდუმლო ერთ ჭეშმარიტებაშია: – საოცრად გიყვარდეს შენი ქვეყანა და მისი გეო-ფონდი ახალგაზრდობა! სწორედ ამ სიყვარულით შევქმენით ჩვენს სასწავლო ცენტრებთან დიპლომის შემდგომი გადამზადების სამთვიანი კურსები: - ბანკის ოპერაციონალთა, ტარმაცევტთა და ბულაღცერთა, ასევე მზარეულის, კუდინარიისა და მაგილის დიზაინის, სციდისციის, კოსმეცოლოგიის, მკერავ-დიზაინერის, მასაჟის ხუთთვიანი კურსები.

მსურველებმა შეგიძლიათ მიაკითხოთ ჩვენი ინსტიტუტის სასწავლო ცენტრებს ნებისმიერ რეგიონში.



ჯეოსტრატეგიის განვითარების საერთაშორისო სექტორის სექტორის სექტორის

„საქართველო ბიძების და მეომხების ქვეყანა“

გადიან წლები, მიდის საუკუნეები, ამ დროის მანძილზე ბევრი ერი გაძლიერდა, ბევრიც გადაშენდა. ისტორიას რჩება ყველა ნაბიჯი, ამ ისტორიაში შეიძლება ყველა ის ადამიანი მოხვდეს, რომელმაც გააკეთა ქვეყნისთვის სასიკეთო საქმე.

ყველა ადამიანს თავისი საქმე აქვს: ზოგი ექიმი, ზოგი ხელოვანი, ზოგიც კი სპორტსმენი. შეეცადე იყო პირველი იმ საქმეში რასაც აკეთებ. ნუ დაიიუნუნებ უფულობით, გადაღლილობით, უიმედობით. გახსოვდეს ის, რაც გიყვარს და გიტაცებს ამ ქვეყანაზე, იმ სფეროშია შენი ადგილი. ამ სულიერ სიმდიდრეს შენ ვერავითარი ფულით ვერ იყიდი, ის შენია და უფალმა შენში ჩაღო.

დღეს XXI საუკუნეა. წინ მიდის ცხოვრება, იხვეწება ახალი ტექნოლოგიები, მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველო, რწმენამ და საბრძოლო ხელოვნებამ გადაარჩინა. დაეცა ბიზანტიის იმპერია, რომელიც ყვაოდა და მისი დედაქალაქი კონსტანტინოპოლი. თურქებმა ამ ადგილს სტამბული უწოდეს. მინდა კარგად დავფიქრდეთ, თუ ამხელა იმპერია დაეცა, საქართველო რამ გადაარჩინა?

საქართველო მხოლოდ რწმენამ და საბრძოლო ხელოვნებამ გადაარჩინა. საქართველოში თითოეული მებრძოლი თავისი ოსტატობით უტოლდებოდა მინიმუმ 5-6 სპარსელს. ამიტომ ყველა ბრძოლა ღვთის მადლით და მათი ვაჟუცობით მოგვიგია. ამ პატარა ერმა გამოიარა დიდი განსაცდელი, ტანჯვა, მაგრამ სულღირად მაინც არ გატყდა.

საქართველოში ვაჟუცა ფასდებოდა ქვეყნის სიყვარულით, შრომით, რწმენით, ფიზიკური მომზადებით, მანდილოსნის დაფასებით, ვახოს სიყვარულით და მჭერმეტყველებით.

არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი წმინდანები, რომლებმაც საქართველოსთვის თავი გასწირეს: ქეთევან დედოფალი, დემეტრე II თავადადებული და სხვანი.

დღეს კი საით მივდივართ? ვხედავ, რომ ქართველები კარგავს იმ სულისკვებებს რამაც აქამდე მოგვიყვანა. ნუთუ ამხელა განსაცდელისთვის ღირს ჩვენი სული და სხეული? რომ არ მოვაკლოთ სიგარეტი, ნარკოტიკი და ნამალი?

ნუთუ ვერ ვუფიქრებთ, რომ უფსკრულში მივდივართ და იქიდან ამოსვლა რთულია? სამწუხაროდ ბევრი ადამიანი ცუდს უფრო მალე ეჩვევა და აკეთებს ვიდრე კარგს. კარგად დაფიქრდით და ისე გადადგით ნაბიჯი, ნუ აყენებთ ზიანს თქვენს თავს და თქვენს ირგვლივ მყოფთ. მოუფრთხილდით საკუთარ ჯანმრთელობას და ნუ შესწირავთ ღვთისგან ბოძებულ ჯანმრთელობას ნარკოტიკებს...

XXI საუკუნეა სიგარეტმა, ნარკოტიკმა და ნამალმა დაიპყრო ქვეყანა, სძლია ბევრში იმ ფასეულობებს რამაც აქამდე მოგვიყვანა.

ქართველი კაცი ყოველთვის მებრძოლი იყო. აუცილებელია იყოს მებრძოლი ადამიანი და შეეძლოს საკუთარი თავის, ოჯახის და ქვეყნის დაცვა. ფიზიკურად კარგად მომზადებული მებრძოლი არ არის აგრესიული, გაუწონასწორებული და მკვებია.

საბრძოლო ხელოვნებაში ფიზიკურზე მეტად გონიერებას ექცევა ყურადღება. კარატეში დიდი ყურადღება ექცევა: ზრდილობას, კულტურას, ეთიკას, დისციპლინას, საზოგადოებაში ქცევის ნორმებს და სამართლიანობას. აი ამ ეტაპების დაძლევის შემდეგ ფასდება მებრძოლის ფიზიკური მომზადება და ყალიბდება მებრძოლი.

სამწუხაროდ საბრძოლო ხელოვნება ბევრს მარტო ბრძოლა ჰგონია და არ იცინა, რომ აქ ბრძოლის გარდა ბევრი ეტაპია დასაძლევია და იმ ილეთის შესრულების დროს მებრძოლში ბევრი რამ იმალება. აქ განუსაზღვრელია ასაკი და ერთადერთი სახეობაა, რომელიც, მთელი ცხოვრებაც რომ დაკავდეს, ბოლომდე ვერ ისწავლი, რადგან მისი პროგრამა ამოუწურავია.

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ დღეში მინიმუმ 30 წუთიანი ვარჯიში აუცილებელია და არ აძლევს უფლებას დაავადებებს თავის წარმოჩენის და სხეულს დაუძლიერებს.

მაშ სად არის ჩვენი სულისკვებება მებრძოლი სული? საქართველო დავითის, თამარის და მეომრების ქვეყანაა. აი ასეთი მომავალი და ქვეყანა გვჭირდება ჩვენ. მებრძოლები, მეომრები, გმირები და ვაჟუცები.

ჩვენმა წინაპრებმა საკუთარი სისხლით მოიტანეს ჩვენი საქართველო ჩვენამდე. ჩვენ კი? ჩვენ არ გვაქვს დანოქების და დაუძლიერების უფლება.

შეეცადეთ გქონდეთ ცხოვრებაში მიზანი ეს სპორტში იქნება თუ ხელოვნებაში აუცილებელია. რადგან ადამიანი რომელიც ცხოვრობს მიზნის გარეშე დაცარიელდება. ყოველდღიური ყოფითი ცხოვრება (ადგომა, ჭამა, ძილი, დანოლა) მომავლურებელია თუ მიზანი



არ გაქვთ. არ მიცეთ თავს უფლება რაიმე გეზარებოდეთ, სძლიეთ საკუთარ თავს და ამით ყველაზე დიდ მტერზე გაიმარჯვებთ.

„ყველაზე დიდი ბრძოლა საქართველოშია ბრძოლა. ყველაზე დიდი გამარჯვება საქართველოშია გამარჯვება“

განერიდეთ ცუდს და შეითვისეთ კარგი. თუ თქვენ დააკვირდებით ჩვენს ისტორიას ყველა თავის საქმეს აკეთებდა, ხოლო როცა ქვეყანას სჭირდებოდა ქალებიც იბრძოდნენ. გნეუს პომპეუსი საქართველოში სწორედ ამან აღაფრთოვანა, რასაც რომში დიდი გაკვირვება მოჰყვა.

დაიმახსოვრეთ და გახსოვდეთ: შეიძლება XXI ს. და XXII საუკუნეც იყოს და ნატომიც შევიდეთ, მაგრამ ყველას უნდა ახსოვდეს მათი ადათ-წესები და ქვეყნის ისტორია. რაც არ უნდა დრო მოვიდეს, საქართველოში არ არის ადგილი „გეების“ და ყურსაკიდიანი მამაკაცების, რადგან საქართველო გმირების და მეომრების ქვეყანაა.

როცა ვარჯიში დავიწყებ, კარატე მეც მარტო ბრძოლა მეგონა, დღეს? დღეს კი ვხედავ, ახალ სამყაროში მოხვდები, რაც ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში ძალიან მეხმარება. კარატეს ფილოსოფიის წყალობით ხვდები, რომ ამ ქვეყანაზე შეუძლებელი და მიუღწეველი არაფერია და ბოლომდე იბრძვი.

მებრძოლი არ უნდა იყოს ნერვიული და ფეთქებადი, ის წონასწორობას ადვილად არ უნდა ჰკარგავდეს. შეიძლება ბევრმა იფიქროს, რომ მორალს უკითხავ და მათ ცხოვრებაში ვერცხვ, მე კი მინდა სწორად გამიგონ, არავითარი უფლება არა მაქვს მათ ცხოვრებაში ჩავერიო, უბრალოდ მინდა შევცვალო თქვენი ცხოვრება უკეთესობისკენ.

მინდა ქვეყანაში იყოს მებრძოლი სული, ჩემდასამწუხაროდ ბევრი ახალგაზრდა დგას ნუმპეში და აღარც აქვს ბრძოლის სურვილი. უფულებელყავი ცუდი და შეითვისე კარგი.

ის თურქები, აზერბაიჯანელები დღეს ყოველი მეორე ვარჯიშობს და თუ ადრე ბ თურქს, ერთი ქართველი უმკლავდებოდა, დღეს თურქს გაუმკლავდება კი ერთი ქართველი? თუ ასე გაგრძელდა ძალიან გაუჭირდება.

„უბრძოლველად არ არსებობს გამარჯვება გამარჯვებას კი სისხლის ღირა შრომა უნდა, უმოქმედოდ თუ იქნები დამარცხდები, სად წერია შენ რა გინდა? ან რა გსურდა?“

ფიზიკურად კარგად მომზადებული ადამიანი ყველა იარაღზე საშიშია. მაგრამ მარტო ფიზიკურად მომზადებული ადამიანი არაფერია, თუ მას გონიერება არ აქვს. ისწავლეთ კარგად, ამაზე დიდი განძი არ არსებობს, როგორც განათლება და მჭერმეტყველება.

ქართველი მეომრების მომზადების სფეროში მჭერმეტყველებაც შედის, აუცილებელია კაცმა კარგად იცოდეს სუფრის ხელოვნებაც, მაგრამ დაღვრებაში ზომიერებაა საჭირო.

ჩვენ ქართველები პატარა ერი ვართ, მაგრამ ყველგან ვჩანართ, იმიტომ, რომ ოსტატობა მარტო ბრძოლაში კი არა, ყველგან შეიძლება გამოვიჩინოთ.

დღეს კი? გული მტკივა, როცა საბრძოლო ხელოვნებას მსოფლიოში ქალთა 1/3 მისდევს. საქართველოში კი, ბიჭებს აღარ უნდათ ვარჯიში. ვინმემ არ იფიქროს, რომ

მარტო ჩემი სკოლის მდგომარეობის გამო ვამბობ, მე საერთო მდგომარეობა მანუხებს. იყავი იქ, სადაც სრული ჭეშმარიტებაა. გაარჩიე სინათლე და სიბნელე, როგორც ინი და იანი და დაიმახსოვრე: „ლეგენდებად არ იბადებიან, ლეგენდები ხდებიან“.

გახსოვდეს: ნებისმიერ საქმეში მთავარი უფლის და საკუთარი თავის რწმენაა საჭირო. ფრანზა „ვერ ვაკეთებ, ვერ ვაგაკეთებ, არ შემიძლია“, – თავიდან ამოიგდე. გახსოვდეს, საბრძოლო ხელოვნებაში ნებისმიერი წინააღმდეგობა უნდა გადალახო და ყველაფერი გააკეთო. თუ საკუთარ თავში ეჭვი შეგეპარა ჩათვალე უკვე დამარცხებული ხარ.

გნამდეს უფლის და იყავი მორწმუნე, იმიტომ რომ რაც უფრო მეტს ილოცებ მით უფრო ახლოს მიხვალ უფალთან. თუ საბრძოლო ხელოვნებას ჩაუკვირდები მიხვდები, რომ გენიერებას უფრო დიდი ყურადღება ენიჭება ვიდრე ფიზიკურ ძალას.

საბრძოლო ხელოვნებაში 5 ძირითადი ფაქტორი ყველგან მეტად მუშაობს; ესენია: ხედვა, სმენა, ყნოსვა, გემო და შეგრძნება.

ხედვა – რასაც ხედავ, სმენა – რაც გესმის, ყნოსვა – რასაც გრძნობ, გემო – ყველა მათგანის სრულყოფის ნიშანია და შეგრძნება, რასაც ხედვის, სმენის, ყნოსვის და გემოს – ყველას სრულყოფილებას ერთად შეიგრძნობ.

ასე რომ, შენი ცხოვრება გახადე საინტერესო. შენ თვითონ შეგვიძლია შენი თავი გამოძირო. გახსოვდეს – შენი თავის ყველაზე დიდი მასწავლებელი შენ ხარ.

საბრძოლო ხელოვნებაში მონიშნულმდეგის პატივისცემას დიდი ყურადღება ენიჭება. თავის დახრად და მისალმება მისი დაფასების ნიშანია. „სენსეი“ იაპონური სიტყვაა და პატივცემულ მასწავლებელს ნიშნავს.

დაიმახსოვრეთ: „ტკივილი ცხოვრობს ჩვენთან ერთად, ყოველ წამს და ყოველ წუთს“.

არსებობს გამოთქმა: „თუ გტკივა ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ“, და თუ ცოცხალი ხარ ტკივილიც უნდა გამოსცადო და სხვა რამეც.

კურჩევ ყველას იმ სიბინძურედან და ნუმპედან ამოვიდნენ, რასაც ნარკომანია ჰქვია და ჯანსაღი ცხოვრებით იცხოვრონ. დღეს როცა ასე გვჭირდება მებრძოლი სული, მოდი ჩვენთან, დაუდექი გვერდით შენს ქვეყანას და რაიც, იქნება შენთვისაც დაუკრან უცხოეთში საქართველოს ჰიმი.

არ დაგავიწყდეს, შენ ქართველი ხარ! მებრძოლი, არ მისცე თავს უფლება მოდუნდე. შენ შეგიძლია შექმნა პატარა ისტორია და სხვები დააყენო სწორ გზაზე, მოაშორო ბირჟას, სიბინძურეს. შენ ქართველი, ვაჟუცა ილიას, ვაჟას, დავითის, თამარის ქვეყნის ხარ, იმ ტანჯული საქართველოს შვილი, რომელიც მრავალჭირგამოვლილია.

შენ ქართველი ხარ, ღვთის ნაკურთხ მიწაზე ცხოვრობ, იმ მიწაზე, სადაც წმინდა ყველაფერი, ეს ხომ ჩვენი ქვეყანაა, რომელსაც ყველა უმიზნებს?

მოდი დღეს ჩვენთან, საქართველოს მეომრები გადაარჩენს და მებრძოლი სული, რომელიც დღეს ასე გვჭირდება. გაზარდე შენი შვილი ისე, როგორც ჩვენ გვზრდიდა ჩვენი წინაპრები და გადაეცი ის ადათ-წესები, რაც შენ გადმოგცა შენმა წინაპრებმა. აი ასე შექმნი შენ ერთ პატარა ისტორიას და შენი წყალობით ბევრი ეზიარება სიმართლეს და ჭეშმარიტ ხელოვნებას.

„მე გინვდი ხელს, რომელიც შენ და ჩვენს ქვეყანას ასე სჭირდება, ნუთუ ისევ ნუმპეში გადავარდები?“

ირაკლი ტულუში – გინესის მსოფლიო რეკორდმენი.

სახალწლო

ჩარხავალი
მალაღონე და ორგანიზებულად წარიმართა საახალწლო კარნავალი საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. გორის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრში. ეს იყო ახალგაზრდების ჭეშმარიტი ზეიმი სიტყვაკაზმულობითა და პლასტიკით, სიმღერითა და იუმორით, პოეზიასა და ქორეოგრაფიაში შერწყმული... სადღესასწაულო ნამდვილად აქვთ გორის სასწავლო ცენტრის მესვეურთ, ეს მათთვის პირველი სასწავლო ცენტრის გახსნით უდიდესი ეროვნული, საგანმანათლებლო საქმე გაკეთდა – აღნიშნა ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა გარი ჩაიხიძემ და დასძინა, რომ მხოლოდ ნიჭიერებით შეუძლიათ ადამიანებს იყენენ ძლიერნი... გორის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა ბატონმა ანზორ ჩლაიძემ ჩვეული მშობლიური სიტყვით დალოცა სტუდენტ-ახალგაზრდობა, ასევე გულთბილად მიულოცა მათ და გამსწრე საზოგადოებას ახალი 2014 წლის შემობრუნება გორის სასწავლო ცენტრის მეთოდ. კაბინეტის გამგემ და აღნიშნული ღონისძიების სულსჩამდგემმა თამილა კეკოშვილმა.

მონაწილე სტუდენტებთან ვერავის გამოყოფდით. მათი წარმატება თვალშისაცემი გახლდათ...

P S. აღნიშნული მასალა დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც რექტორისგან შევიტყვეთ, რომ საახალწლო კარნავალის მალაღონე ჩატარებისთვის გორის სასწავლო ცენტრი საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

იქით, როგორ მოგვუხარეთ?!

ხშირად მესმის ეს სიტყვები ტუდენტებისგან, – მესმის და გული სიამაყით მეგვება, რამდენი სიბოროტა და სიყვარულის მომცველია... ვენატრებით? ესეიგი მოსწონთ ჩვენთან ყოფნა, ჩვენთან სწავლა... არასოდეს დამიფიქრებთ პირველკურსელთა შიშით დამწვრთხალი თვალები, პირველი განცდები სესიების დროს...

ბოლო გამოცდა 24 დეკემბერს ჩატარდა, დამთავრდა პირველი სემესტრი და არც თუ ისე ცუდად... სტუდენტთა უმრავლესობამ საგამოცდო ბარიერი გადალახა, ამ მხრივ განსაკუთრებით გამოყოფილი ფარმაცევტის თანაშემწის სპეციალობის სტუდენტებს, მათ გამოცდებზე მაღალი აკადემიური მოსწრება აჩვენეს, – მადლობა ჩემო კარგებო, რომ ასეთი მოწესრიგებული და მონდომებული ხართ, თუმცა ცოტათი მოვიკოჭლებით დაცვა-პატრულირების სპეციალობის სტუდენტები... იმედია ამ ხარვეზსაც გამოვასწორებთ მეორე სემესტრში და რექტორის, პროფესორ გარი ჩაიხიძის მადლობასაც დავიმსახურებთ.

სულმოუთქმელად ველით მეორე სემესტრის დაწყებას, დაგეგმილი გვაქვს მრავალი საინტერესო ღონისძიება: სტუდენტთა კონფერენცია, ექსკურსიები, გვინდა მოვილოცოთ ცაცხის სვეტი მამა თეიმურაზთან ერთად...

და ბოლოს, ჩვენი სასწავლო ცენტრის სახელით საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქალთა მრავალრიცხოვან კოლექტივს მინდა მიულოცო გაზაფხულის ულამაზესი დღესასწაული ქალთა დღე და დედის დღე, გაზაფხულოდ მშვენიერები ყოფილიყავით მთელი ცხოვრების მანძილზე, შეგენით უფალი... იცით როგორ მომენატრეთ?!

თამარ ჩხეიძე, ქ. ჭიათურის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი

არაფორმალური პროფესიული განათლების ფლაგმანი საქართველოში

**„EUCEN“-ის სერთიფიკირებულ საგანმანათლებლო
ევრო აკრედიტაციის მფლობელი
საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა
ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების
სასწავლო ცენტრები**



უცხადებს ვიდეოს IX და XII კლასდათავრებულთათვის



- ✓ კოეპიუტარული ტექნოლოგიები
- ✓ გიფი (ტურიზმი)
- ✓ ღაცვა—პატრულირება
- ✓ საბაჟოს წარმომადგენელი
- ✓ ბანკის ოპერატორი
- ✓ ბაგა—ბაღის აღმზრდელი
- ✓ ექთნის თანაუბრა
- ✓ პრაქტიკოსი მედიკოსი
- ✓ ფარმაცევტის თანაუბრა
- ✓ კვილის ტექნიკოსი
- ✓ სოციალური მუშაკი
- ✓ ვებდირიგირი

ვისაერთაბი:

ქ. თბილისის სასწავლო ცენტრი,
თბილისი, ჯავახიშვილის ქუჩა №7;
(M. ვარკეთილთან).
ტელ: (032) 227-89-00; 227-89-01;
227-89-02

ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრი,
ქ. რუსთავი, შვეჩენკოს ქუჩა №5
(აკადემიური ქალაქი) კორპუსი 7.
ტელ: (0341) 22-25-00; 22-45-00;
22-74-00; 22-80-80; 22-77-77;
25-37-00; 25-39-00; 27-94-00,
27-96-00; 28-14-00.

ქ. ოზურგეთის სასწავლო ცენტრი
ქ. ოზურგეთი - გურიის ქუჩა №5
ტელ: 598 00-09-31; 551-31-36-69

ქ. ქუთაისის სასწავლო ცენტრი
ქ. ქუთაისი, გ. ტაბიძის ქუჩა, მეორე
შესახვევი №6
ტელ: 593-36-30-84; 568-59-59-48

ქ. ამბროლაურის სასწავლო ცენტრი
ქ. ამბროლაური - ვ. კობახიძის ქ. №2
ტელ: 551-59-30-00

ქ. თერჯოლის სასწავლო ცენტრი
ქ. თერჯოლა, აღმაშენებლის ქუჩა №3
ტელ: 568 40-08-54; 577-65-35-28

ქ. ზესტაფონის სასწავლო ცენტრი
ქ. ზესტაფონი, გ. ჭანტურიას №4
ტელ: 5-58-74-62-22

ქ. ჭიათურის სასწავლო ცენტრი
ქ. ჭიათურა, ყაზბეგის ქუჩა №6
ტელ: 551-73-04-16; 571-50-84-60

ქ. ახალციხის სასწავლო ცენტრი
ქ. ახალციხე - რუსთაველის ქ. №57-ა
ტელ: 591-18-00-28; 568-86-26-74.

ქ. საშურის სასწავლო ცენტრი
ქ. საშური, დ. აღმაშენებლის №5
ტელ: 558 26-32-38; 551-20-12-25

ქ. გორის სასწავლო ცენტრი
ქ. გორი, სტალინის 14;
ტელ: 599-53-05-14;
599-77-73-23
551-53-03-35

ქ. საგარეჯოს სასწავლო ცენტრი
ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქუჩა №6
ტელ: 593-92-49-46

ქ. გურჯაანის სასწავლო ცენტრი
ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №6
ტელ: 593-54-17-81

ქ. ლაგოდეხის სასწავლო ცენტრი
ქ. ლაგოდეხი - კუდიგორის ქუჩა №4
ტელ: 598 69-19-09

ქ. თელავის სასწავლო ცენტრი
ქ. თელავი, ჭავჭავაძის გამზ. 98
ტელ: 558-99-97-09

ქ. ახმეტის სასწავლო ცენტრი
ქ. ახმეტა, რუსთაველის ქუჩა №59
ტელ: 598-50-38-25

სწავლა სამუშაო!

სასწავლო წელი ყველა სპეციალობაზე ორსემესტრიანია,

გადასახადი - სემესტრში 250 ლარი!

კურსდამთავრებულნი მიიღებენ სასწავლო პროგრამის

გავლის დამადასტურებელ სამეცნიერო

(ქართულ-უკრაინულ-ინგლისურ)

ოქროსბეჭდიან სერთიფიკატს!

საპუბლიკის ვიდეო ლინკი!